EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

Geo: დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის (www.supremecourt.ge) მიერ. თარგმანის ხელახალი გამოქვეყნების ნებართვა გაცემულია მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში განთავსების მიზნით.

Eng: The document was provided by the Supreme Court of Georgia, Human Rights Centre of the Analytical Department (www.supremecourt.ge). Permission to republish this translation has been granted for the sole purpose of its inclusion in the European Court of Human Rights database HUDOC

რაიმონდო იტალიის წინააღმდეგ
Raimondo v. Italy
საჩივარი №12954/87
1994 წელი, 22 თებერვალი

(ამონარიდები გადაწყვეტილებიდან)

ფაქტები

7. ბ-ნი ჯუზეპე რაიმონდო, სამშენებლო მეწარმე, 1992 წლის 11 ივლისს, გარდაცვალებამდე ცხოვრობდა დავოლიში (კატანძარო). მის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რადგან იგი ეჭვმიტანილი იქნა მაფიოზური ტიპის ორგანიზაციის წევრობაში, რომელიც მოქმედებს სოვერატოს რეგიონში. პარალელურად, მის მიმართ გატარდა სხვადასხვა პრევენციული ღონისძიება.

ა. სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება

8. 1984 წლის 24 ივლისს, კატანძაროს საჯარო პროკურორმა გამოსცა 17 პირის, მათ შორის, მომჩივნის დაკავების შესახებ ბრძანება. თავდაპირველად, მომჩივანი არ

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

დაემორჩილა აღნიშნულ ბრძანებას, თუმცა, 1984 წლის 7 ნოემბერს ჩაბარდა ხელისუფლებას და იგი დაუყონებლივ დააკავეს.

9. გამოძიება დასრულდა 1985 წლის 24 ივლისს და ბ-ნი რაიმონდო წარსდგა კატანძაროს რაიონული სასამართლოს წინაშე, სხვა 14 ბრალდებულთან ერთად. მას წინასწარი პატიმრობა შინაპატიმრობით შეეცვალა.

10. 1985 წლის 8 ოქტომბერს, პირველ მოსმენაზე, რაიონულმა სასამართლომ ბრძანა საქმის გაერთიანება ორ სხვა საქმესთან და გარკვეული დოკუმენტების შეტანა საქმეში. ამის შემდეგ, სასამართლო პროცესი 1986 წლის 16 იანვრისთვის გადაიდო. 1986 წლის 30 იანვარს, რაიონულმა სასამართლომ გაამართლა ბ-ნი რაიმონდო არასაკმარისი მტკიცებულებების საფუძველზე და გააუქმა ბრძანება შინაპატიმრობის შესახებ.

11. 1987 წლის 16 იანვარს, პროკურორისა და ბ-ნი რაიმონდოს საჩივრებზე გამოტანილი განაჩენით, კატანძაროს სააპელაციო სასამართლომ გაამართლა ეს უკანასკნელი იმ მოტივით, რომ დანაშაულის მატერიალური ფაქტები არ იყო დადგენილი. საკასაციო სასამართლოში საჩივარი არ შეტანილა.

ბ. წინასწარ ზომებთან დაკავშირებული სამართალწარმოება

1. კატანძაროს რაიონული სასამართლო

12. 1985 წლის 16 იანვარს, კატანძაროს პროკურორმა მიმართა რაიონულ სასამართლოს ბ-ნი რაიმონდოს პოლიციის სპეციალური ზედამხედველობის ქვეშ აყვანის და რიგი აქტივების დაყადაღების მიზნით, რომლებიც შესაძლებელი იყო ჩამორთმეულიყო. მან თავისი შუამდგომლობა დააფუძნა სოვერატოს კარაბინერის 1984 წლის 24 დეკემბრით დათარიღებულ ანგარიშს.

13. 1985 წლის 13 მაისს, რაიონული სასამართლოს ბრძანებით მოხდა 16 უძრავი ქონების (ათი მიწის ნაკვეთი და 6 შენობა) და 6 მანქანის დაყადაღება, რომლებიც როგორც ჩანს, მომჩივნის განკარგულებაში იყო. შესაბამის საჯარო რეესტრში ეს ღონისძიება აღრიცხულია 1985 წლის 15 მაისის თარიღით. 16 ოქტომბერს, რაიონულმა სასამართლომ გააუქმა მესამე პირების კუთვნილ ქონებაზე ყადაღის დადება; მეორე მხრივ, მან ბრძანა დაყადაღებული ზოგიერთი შენობის და 4 მანქანის კონფისკაცია, რომლის მფლობელებიც იყვენენ მომჩივანი და მისი მეუღლე, იმ მოტივით, რომ არ

დადასტურდა, რომ აღნიშნული აქტივები იყო „კანონიერად შეძენილი.“ კონფისკაცია რეესტრში 1985 წლის 9 ნოემბერს გატარდა.

იმავე გადაწყვეტილებით, რომელიც ძალაში შევიდა 1986 წლის 30 იანვრამდე, ბ-ნი რაიმონდო მოექცა პოლიციის სპეციალური ზედამხედველობის ქვეშ, როდესაც იგი გაამართლა რაიონულმა სასამართლომ (§10, ზემოთ); მას ასევე, მოეთხოვებოდა 2 000 000 ლირის უზრუნველყოფა, როგორც გარანტია, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო ამ ღონისძიებასთან დაკავშირებული შეზღუდვები, კერძოდ, პოლიციის ინფორმირების გარეშე სახლიდან გასვლის აკრძალვა; პოლიციაში გამოცხადების ვალდებულება მითითებულ დღეებში; საღამოს 9 საათამდე სახლში დაბრუნების ვალდებულება და დარჩენა დილის 7 საათამდე, იმ შემთხვევაში, თუ მას არ გააჩნდა საფუძვლიანი მიზეზები და აცნობებდა შესაბამის ორგანოებს საკუთარი განზრახვის შესახებ.

2. კატანძაროს სააპელაციო სასამართლო

14. მომჩივნების საჩივარზე, კატანძაროს სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება 1986 წლის 4 ივლისის კერძო სხდომაზე. მან გააუქმა ზედამხედველობის სპეციალური ზომა და გასცა დაცვის აღდგენის ბრძანება და დაყადაღებული და ჩამორთმეული ქონების დაბრუნება. მისი გადაწყვეტილება ეხებოდა „შემაშფოთებლად შემთხვევით მანერას, რომლითაც მიღებული იქნა სადავო პრევენციული ზომები ბ-ნი რაიმონდოს პიროვნებისა და საკუთრების შესახებ, რითაც ფაქტობრივად გამოცხადდა მისი სამოქალაქო და ეკონომიკური სიკვდილი.“ აღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოო 1986 წლის 31 დეკემბერს გახდა.

15. უძრავი ქონების ყადაღის გაუქმებისა და სატრანსპორტო საშუალებების ჩამორთმევის შესახებ გაუქმების ბრძანება შეტანილი იქნა შესაბამის რეესტრში – 2 თებერვალს (უძრავი ქონება), 10 თებერვალს (2 მანქანა და ფურგონი) და 1987 წლის 10 ივლისს (სატვირთო მანქანა).

მომჩივანს დაცვა დაუბრუნდა 1987 წლის 24 აპრილს.

რაც შეეხება ჩამორთმეულ უძრავ ქონებას, განცხადებები ღონისძიების გაუქმების შეტანის შესახებ დათარიღებულია 1991 წლის 9 აგვისტოთი.

სამართალი

1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის სავარაუდო დარღვევა

24. ბ-ნი რაიმონდო დავობდა 1985 წლის 13 მაისს, თექვსმეტი უძრავი ქონების და ექვსი მანქანის ჩამორთმევასა და 1985 წლის 16 ოქტომბერს რამდენიმე ამ აქტივის კონფისკაციასთან დაკავშირებით. იგი ეყრდნობოდა 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლს, რომელიც ადგენს შემდეგს:
„ყოველ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისთვის შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება ვინმეს კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.“
თუმცა, წინა დებულებები არავითარ შემთხვევაში არ არღვევს სახელმწიფოს უფლებას აღასრულოს ისეთი კანონები, რომლებსაც ის საჭიროდ ჩათვლის, რათა გააკონტროლოს ქონების გამოყენება ზოგადი ინტერესების შესაბამისად ან უზრუნველყოს გადასახადების ან სხვა შენატანების ან ჯარიმების გადახდა.
25. იმის დასადგენად, სადავო ღონისძიებები შეადგენდა თუ არა „საკუთრებით სარგებლობის“ კონტროლს მე-2 პუნქტის მნიშვნელობით, თუ წარმოადგენდა საკუთრების ჩამორთმევას 1-ელი პუნქტის მიხედვით, ევროპული სასამართლო პირველად განიხილავს მათ საჩივარს 1986 წლის 31 დეკემბრამდე, როდესაც კატანძაროს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოო გახდება.
შემდეგში იგი განიხილავს ამ თარიღის შემდგომ საჯარო რეესტრებში მათი დარჩენის საკითხს.

ა. საკუთრების პრევენციული ღონისძიებების გამოყენება 1986 წლის 31 დეკემბრამდე

26. მთავრობამ არ უარყო, რომ ადგილი ჰქონდა ჩარევას მომჩივნის უფლებაში, მშვიდობიანად ესარგებლა მისი საკუთრებით. თუმცა, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ყადაღა და კონფისკაცია გამართლებული იყო ამ დებულების 1-ელ წინადადებაში ჩამოყალიბებული პრინციპიდან 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლით დაშვებული გამონაკლისების საფუძველზე.

1. ყადაღა

27. კომისიის მსგავსად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ყადაღის დადება იყო გათვალისწინებული 1965 წლის კანონის მე-2 კარში და არ ითვალისწინებდა მომჩივნისთვის საკუთრების ჩამორთმევას, არამედ მხოლოდ მისი გამოყენების აკრძალვას. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევევაში აქტუალურია 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის მე-2 პუნქტი.

გარდა ამისა, მომჩივანი არ ამტკიცებდა, რომ 1985 წლის 13 მაისს, რაიონული სასამართლოსთვის მიზანშეწონილი არ იყო იმის დადგენა, რომ არსებობდა საკმარისი არაპირდაპირი მტკიცებულება იმის დასამტკიცებლად, რომ დაყადაღებული ქონება მომდინარეობდა უკანონო საქმიანობიდან ან მათი რეინვესტიციიდან მიღებული შემოსავლით. იგი დავობდა, რომ სამართალწარმოების ამ ეტაპზე ასეთი მკვეთრი ღონისძიება იქნა მიღებული. თუმცა, ყადაღა 1965 წლის აქტის მე-2 კარის მიხედვით, აშკარად არის დროებითი ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავს შემდგომი საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს მათი კონფისკაცია. მაშასადამე, ღონისძიება გამართლებული იყო საჯარო ინტერესით და მაფიის მსგავსი „ორგანიზაციის“ უკიდურესად სახიფათო ეკონომიკური ძალის გათვალისწინებით, არ შეიძლება ითქვას, რომ მისი გათვალისწინება სამართალწარმოების ამ ეტაპზე იყო არაპროპორციული მიზნის მიმართ.

შესაბამისად, ამ კუთხით არ დადგინდა 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის დარღვევა.

2. კონფისკაცია

28. მომჩივნის მტკიცებით, მაშინაც კი, თუ მიღებული იქნა, რომ კონფისკაცია არ ართმევდა მას საკუთრებით სარგებლობის უფლებას, საჯარო რეესტრში ჩანაწერი წარმოდგენდა ღონისძიების აღსრულების ფორმას, სანამ მის საჩივარზე რაიმე გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული.

29. მიუხედავად იმისა, რომ ეს გულისხმობს საკუთრების ჩამორთმევას, ქონების კონფისკაცია სულაც არ შედის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის 1-ელი პუნქტის მეორე წინადადების ფარგლებში (იხ.: the Handyside v. the United Kingdom 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება, Series A no. 24, p. 30, para. 63, და the AGOSI v. the

United Kingdom 1986 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება, Series A no. 108, p. 17, para. 51).

იტალიური პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ისეთი სახის კონფისკაციას, როგორიც წინამდებარე საქმეშია, საბოლოო გადაწყვეტილებამდე არ შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემა. აღნიშნული გადაწყვეტილება სახეზე არ იყო, რადგან ბ-ნმა რაიმონდომ გაასაჩივრა კატანძაროს რაიონული სასამართლოს 1985 წლის 16 ოქტომბრის ბრძანება. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც გამოყენებადია 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის მე-2 პუნქტი.

30. მთავრობისა და კომისიის მსგავსად, სტრასბურგის სასამართლო შენიშნავს, რომ კონფისკაცია, რომელიც ასევე გათვალისწინებულია 1965 წლის კანონის მე-2 კარში – წარმოადგენდა საჯარო ინტერესს, კერძოდ, იგი ცდილობდა უზრუნველეყო, რომ სადავო ქონების გამოყენება მომჩივანს ან მის დანაშაულებრივ ორგანიზაციას, რომლის წევრობაშიც იგი იყო ეჭვმიტანილი, არ იყო საზოგადოებისთვის საზიანო.

სასამართლო კარგადაა გათვითცნობიერებული, თუ რა სირთულეებს აწყდება იტალიის სახელმწიფო მაფიასთან ბრძოლაში. მისი უკანონო საქმიანობის კერძოდ, ნარკოტრეფიკინგისა და საერთაშორისო კავშირების შედეგად ამ „ორგანიზაციას“ აქვს უზარმაზარი ბრუნვა, რომელიც შემდგომში მათ ინვესტირებას ახდენს, მათ შორის, უძრავი ქონების სექტორში. კონფისკაცია, რომელიც მიზნად ისახავს საეჭვო კაპიტალის ინვესტირების დაბლოკვას, არის ეფექტური და აუცილებელი იარაღი ამ ორგანიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. აქედან გამომდინარე, იგი როგორც ჩანს, პროპორციულია დასახული მიზნის მიმართ, მით უმეტეს, რომ იგი ფაქტობრივად არ იწვევს დამატებით შეზღუდვებს ყადაღასთან მიმართებით.

საბოლოოდ, კონფესკაციის პრევენციული მიზანი ამართლებს მის დაუყონებლივ გამოყენებას, ნებისმიერი გასაჩივრების მიუხედავად.

დასკვნის სახით, მოპასუხე სახელმწიფომ არ გადალახა თავისუფალი შეფასების ფარგლები, რომელიც მას გააჩნდა 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი პუნქტის მიხედვით.

3. დაყადაღებული ან ჩამორთმეული ქონების მეთვალყურეობა

31. კვლავ ეყრდნობოდა რა, 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლს, ბ-ნი რაიმონდო ამტკიცებდა, რომ მუნიციპალური პოლიცია ვერ ახორციელებდა სათანადო

ზედამხედველობას და პრევენციულ ღონისძიებებს დაქვემდებარებული ქონება ფართო ვანდალიზმის სამიზნე იყო.

32. მთავრობამ ეს უარყო. ქონების დაცვაზე პასუხისმგებელი პირების – სასამართლო ხელისუფლების მიერ დანიშნული მუნიციპალური პოლიციის თანამშრომლების ოფიციალური სტატუსიდან გამომდინარე, მათ მიმართ დაუდევრობის ბრალდება არ იყო გამართლებული. გარდა ამისა, 1989 წელს მიღებული იქნა კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებდა ამ საკითხს, პირველ ყოვლისა, იმ პირთა ინტერესების დაცვით, რომელთაც ქონება დაუბრუნდათ დაყადაღების შემდეგ და მეორე, ქონებით სარგებლობის საჯარო ინტერესებზე მითითებით, რომელიც დაყადაღებული და მუდმივად ჩამორთმეული იყო.

33. კომისიის მსგავსად, სასამართლოც აღნიშნავს, რომ ნებისმიერი ყადაღა ან კონფისკაცია აუცილებლად იწვევს ზიანს. კომისიამ დაადგინა, რომ მომჩივნის ბრალდებები არ წარმოადგენდა საკმარისად მკაფიო საფუძველს იმის გამოსაკვლევად, აღემატებოდა თუ არა საქმეში მიყენებული რეალური ზიანი ასეთ გარდაუვალ ზიანს. სასამართლოს წინაშე მომჩივანმა არ წარმოადგინა უფრო კონკრეტული ინფორმაცია. ამიტომ სასამართლოს არ შეუძლია არ გაითვალისწინოს კომისიის მიდგომა და მიიჩნიოს, რომ ამ კუთხითაც არ დაფიქსირებულა 1-ელი დამატებითი 1-ელი მუხლის დარღვევა.

ბ. ის ფაქტი, რომ სადავო ზომები დარჩა საჯარო რეესტრში 1986 წლის 31 დეკემბრის შემდეგ

34. მომჩივნების თქმით, კომპეტენტურმა ორგანოებმა გააჭინაურეს 1986 წლის 4 ივლისის კატანძაროს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლა.

35. მთავრობა ამტკიცებდა, რომ უძრავი და მოძრავი ქონება დაბრუნდა 1987 წლის 2 თებერვალს, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების რეესტრში შეტანიდან მხოლოდ ორი თვის შემდეგ. მათ აღიარეს, რომ სადავო ღონისძიების გაუქმების საჯარო რეესტრებში შეტანის ფორმალობა გარკვეული დროით გატარებული იყო, მაგრამ ბ-ნ რაიმონდოს შეეძლო და უნდა დაკავშირებოდა შესაბამის დეპარტამენტს ზომების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების ასლით. ყოფილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 619-ე მუხლი, რომელიც სხდომაზე მისმა ადვოკატმა მოიხსენია, არ იყო

გამოსაყენებელი, რადგან ის ეხებოდა მხოლოდ პროკურატურის მიერ იპოთეკის ან ყადაღის გაუქმებას, რომელიც დავალებული იყო ბრალდებულის მსჯავრდების შემდეგ ვალების გადახდის მიზნით (სასამართლო ხარჯები, ჯარიმა და ციხის ხარჯები).

36. უპირველეს ყოვლისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო საკუთრება მომჩივანს 1987 წლის 2 თებერვალს დაუბრუნდა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეესტრში შეტანიდან ორი თვის შემდეგ. მიუხედავად ამისა, მან უნდა განიხილოს ის ფაქტი, რომ შესაბამის რეესტრებში დარჩენილი ჩანაწერები, წარმოადგენდა თუ არა ჩარევას 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლით გარანტირებულ უფლებაში. ასეთი ჩარევა არ მომხდარა 1985 წლის 13 მაისს ჩამორთმეულ უძრავ ქონებასთან და 1985 წლის 16 ოქტომბერს ჩამორთმეულ სამ მანქანასთან დაკავშირებით, რადგან საჭირო ჩანაწერები გაკეთდა სწრაფად, 1987 წლის 2 და 10 თებერვალს. მეორე მხრივ, ადგილი ჰქონდა ჩარევას სატვირთო მანქანასთან და 1985 წლის 16 ოქტომბერს ჩამორთმეულ ცხრა ნივთის უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, რადგან ჩანაწერი სატვირთოს შესახებ არ გაკეთებულა 1987 წლის 10 ივლისამდე და რაც შეეხება უძრავ ქონებას 1991 წლის 9 აგვისტომდე, სასამართლოს გადასაწყვეტი არ არის, თუ ვის უნდა გადაედგა ამ საქმეში შესაბამისი ნაბიჯები. თუმცა, და მთავრობის მიერ მოწოდებული საფუძვლების მიუხედავად, საჯარო ხელისუფლების პასუხისმგებლობა სახეზე იყო. სასამართლოს უჭირს იმის გარკვევა, თუ რატომ იყო საჭირო შვიდ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში (1986 წლის 2 დეკემბერი – 1987 წლის 10 ივლისი) და ოთხი წელი და რვა თვე (1986 წლის 2 დეკემბერი – 1991 წლის 9 აგვისტო) დალოდება ბ-ნი რაიმონდოს ზოგიერთი საკუთრების სამართლებრივი სტატუსის დარეგულირებამდე, როდესაც კატანძაროს სააპელაციო სასამართლომ გასცა ბრძანება, რომ მთელი ქონება დაებრუნებინათ მფლობელისთვის – „მას შემდეგ, რაც ჩანაწერები ამორიცხული იქნა რეესტრებიდან“.

გარდა ამისა, ეს ჩარევა არ იყო „კანონით გათვალისწინებული“ და არც აუცილებელი 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის მნიშვნელობით, „საკუთრების გამოყენების კონტროლისთვის ზოგადი ინტერესების შესაბამისად.“

შესაბამისად, დაირღვა აღნიშნული დებულება.

აქედან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად ადგენს, რომ:

1. არ დადგინდა 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის დარღვევა 1986 წლის 31 დეკემბრამდე მომჩივნის ქონებაზე ყადაღის დადებისა და კონფისკაციის დროს და არც ამ ღონისძიებების შედეგად მიყენებულ ზიანთან დაკავშრებით;
2. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა იმავე მუხლის (1-ელი დამატებით ოქმის 1-ელი მუხლის) დარღვევას, რამდენადაც 1985 წლის 16 ოქტომბერს სატვირთო მანქანის და 9 უძრავი ქონების კონფისკაცია დარჩა შესაბამის რეესტრში, 1986 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და ამ დებულების სხვა სახის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.